საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო

Ministry of Internally Displaced Persons from the Occupied Territories, Labour, Health and Social Affairs of Georgia

KA030114670954119

საქართველო, თბილისი 0119, აკ.წერეთლის გამზ.144; ტელ.: (+995 32) 251 00 11; ცხელი ხაზი: (+995 32) 251 00 26; 15 05; ელ.ფოსტა: info@moh.gov.ge
144 Ak.Tsereteli ave., 0119, Tbilisi, Georgia; Tel: (+995 32) 251 00 11; Hot line: (+995 32) 251 00 26; 15 05; E-mail: info@moh.gov.ge

№ 01/2087 **08 / თებერვალი / 2019 წ.**

საქართველოს ფინანსთა მინისტრის
მოადგილეს ბატონ გიორგი კაკაურიძეს

ბატონო გიორგი,

გაცნობებთ, რომ თბილისის საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილებით (N3/6156-16 02.08.2017წ.) სსიპ-სოციალური მომსახურების სააგენტოს დაევალა ანდრო ტაბატაძისა და როლანდ ფცქიალაძის სასარგებლოდ სახელმწიფო პენსიის ანაზღაურება თითოეულზე 5 620 ლარის ოდენობით. აღნიშნულის უზრუნველსაყოფად საჭიროა „მოსახლეობის საპენსიო უზრუნველყოფა“ (პროგრამული კოდი-27 02 01) პროგრამით გათვალისწინებული ასიგნების ფარგლებში განხორციელდეს დამტკიცებულ გეგმაში ცვლილება და „სოციალური უზრუნველყოფის“ მუხლით გათვალისწინებული ასიგნების შემცირების ხარჯზე გაიზარდოს „სხვა ხარჯების“ მუხლით გათვალისწინებული ასიგნებები.

ასევე, თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2017 წლის 25 ოქტომბრის (N3ბ/421-17) გადაწყვეტილებით სსიპ-სოციალური მომსახურების სააგენტოს შპს „აკად. ო.ღუდუშაურის სახელობის ეროვნული სამედიცინო ცენტრი“-ს სასარგებლოდ დაეკისრა სასამართლო ინსტანციაში გადახდილი სახელმწიფო ბაჟის 3 000 ლარის ანაზღაურება.

ასევე, საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2018 წლის 28 დეკემბრის განჩინებით (Nბს-1586 (კ-18) სააგენტოს დაევალა სახელმწიფო ბაჟის 300 ლარის გადახდა და სასამართლოში ქვითარის წარდგენა. ამასთან, სააგენტოს რეგულარულად უწევს შემჭიდროვებულ ვადებში სახელმწიფო ბაჟის გადახდა.

ზემოაღნიშნულიდან გამომიდნარე, დაკისრებული ვალდებულებების დროულად გადახდის მიზნით საჭიროა „მოსახლეობის საყოველთაო ჯანმრთელობის დაცვა“ (პროგრამული კოდი-27 03 01) პროგრამის „სხვა ხარჯების“ მუხლით გათვალისწინებული ასიგნებების გაზრდა ამავე პროგრამის „საქონელი და მომსახურების“ მუხლით გათვალისწინებული ასიგნებების შემცირების ხარჯზე.

გთხოვთ, „საქართველოს საბიუჯეტო კოდექსის“ 31-ე მუხლის მეორე ნაწილის თანახმად, განახორციელოთ დამტკიცებულ გეგმაში ცვლილება, დანართის შესაბამისად.

პატივისცემით,

მინისტრის მოადგილე ხელმოწერილია/შტამპდასმულია ელექტრონულად გიორგი წოწკოლაური